ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 22

2025 წლის 30 ივლისი

ქალაქი ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1

შევიდეს შემდეგი ცვლილება ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №3 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 28/12/2021, სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.138.016443) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი 2 ჩამოყალიბდეს თანდართული დანართი 2-ის სახით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 აგვისტოდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლომიძე

დანართი 2

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომითი ხელშეკრულებით დაკავებული პოზიციების ნუსხა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

№	შრომითი ხელშეკრულებით დაკავებული პოზიციის დასახელება	ხელშეკრულებით გათვალისწინებული პოზიციების რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1	საკრებულოს სპეციალისტი ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხებში	1	**2000**
2	ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1	**2700**
3	მდივან -რეფერენტი	1	**1380**
4	საკრებულოს სპეციალისტი ინფრასტრუქტურულ საკითხებში	1	**2000**
5	ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირადი მძღოლი	1	**1740**
6	საკრებულოს მოსახლეობასთან ურთიერთობის ხელშეწყობის კოორდინატორი	1	**1820**